**დავით ბეჟუაშვილი** დაიბადა და გაიზარდა დაბა მანგლისში, თეთრიწყაროს რაიონში. ყველაზე მეტად მშობლიური რაიონი უყვარს და გული სტკივა, რომ ბევრ თეთრიწყაროელს ჯერაც ძალიან უჭირს. კარგად იცნობს თეთრიწყაროს პრობლემებს. სამი მოწვევის პარლამენტის წევრი იყო და თუ თეთრიწყაროელები ნდობას გამოუცხადებენ, მისი მთავარი მიზანი იქნება მეტი სარგებელი მოუტანოს ხალხს. ამისთვის [illegible] დაწყებული საქმეების გაგრძელება – რაიონის გაზიფიცირების დასრულება, გზებისა და წყალმომარაგების სისტემის გაუმჯობესება, ჯანდაცვის ხელმისაწვდომობის გაზრდა, სოფლის მეურნეობის გაძლიერება და ახალი საწარმოების შექმნა, რათა მეტი სამუშაო ადგილი შეიქმნას თეთრიწყაროში.

**გზა ყველა სოფელში, წყალი ყველა სოფელს, გაზიფიცირების დასრულება**



## დასაქმება
## ჯანდაცვა ყველას
## ძლიერი სოფელი
## 1000 ლარიანი ვაუჩერი

# 5

www.UNM.ge

## ერთიანი ნაციონალური მოძრაობა

## თეთრიწყარო

# მეტი სარგებელი ხალხს

PX 4715/1

n 207/1573

მე ❤ საქართველო

ეროვნული ბიბლიოთეკა



*მიხეილ სააკაშვილი:*

• „შეუძლებელია, რომ სახელმწიფო არ ზრუნავდეს მოქალაქეების ჯანდაცვაზე. ამისთვის მარტო ახალი საავადმყოფოები არ კმარა. საავადმყოფო მუზეუმი არაა, რომ უბრალოდ დაათვალიერო. ჯანდაცვის ხელმისაწვდომობისთვის ყველა მოქალაქის დაზღვევაა საჭირო. მხოლოდ ასე ნახავს ჩვენი ხალხი მეტ სარგებელს".



*ვანო მერაბიშვილი:*

• „მე ვიცნობ ქართულ სოფელს, მე მიყვარს ქართული სოფელი, მე მივხედავ ქართულ სოფელს".

• მე მესმის უმუშევარი ადამიანის გასაჭირის, როცა კაცმა არ იცი, ოჯახს ხვალ რა აჭამო. ასეთ დროს ძნელია რაიმე დაიჯერო, მაგრამ მე მაინც გავბედავ და ვეტყვი ჩემს მოქალაქეებს: როგორც კორუფცია და კრიმინალი დავამარცხეთ, ასევე შევძლებთ უმუშევრობის დაძლევას – ამაში ეჭვი არ მეპარება".



*დავით ბაქრაძე:*

• „მაღალი ფასები განსაკუთრებით აწუხებს დღეს ჩვენს მოსახლეობას. ხელოვნურად ფასების აწევა დანაშაულია! ძალით დაწევა კი ბიზნესის გაკოტრებასა და ხალხის უსამსახუროდ დარჩენას იწვევს. ამიტომ 1000-ლარიანი ვაუჩერი რეალური სარგებელია ხალხისთვის. ყველა ოჯახი თავად გადაწყვეტს, სად უჭირს და სად სჭირდება სახელმწიფოს დახმარება".

# მეტი სარგებელი ხალხს

ზომა: A 5; ტირაჟი: 1800 ც. თარიღი: 28.08.2012 წ.